



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

Good Governance in Georgia Program



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი ვებ

პორტალის

მოქალაქის სახელმძღვანელო

2014



1

• შესავალი

2

• ვებ პორტალის ინტერნეტ მისამართი

3

• როგორ მივწეროთ წერილი კონკრეტულ უწყებას

4

• ხშირად დასმული კითხვების ველი

5

• როგორ მოვიპოვოთ საჯარო ინფორმაცია

6

• საკონტაქტო ინფორმაცია

7

• როგორ გამოვიწეროთ სიახლე და მოვიძიოთ ინფორმაცია

8

• სიახლეების ველი

9

• როგორ მივიღო მონაწილეობა გამოკითხვაში

10

• სოციალური ქსელები და ბმულები

11

• როგორ მოვიძიო ინფორმაცია კონკრეტული უწყების შესახებ უფრო დეტალურად

12

• გვერდის ქვედა მენიუზე განლაგებულია სასარგებლო ბმულები



1

• შესავალი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის შექმნა მიზნად ისახავს მოქალაქეების ინფორმირებულობას და ჩართულობას მთავრობის სამქიანობის შესახებ პროცესებში და ურთიერთ კომუნიკაციას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვებ პორტალის განვითარების პროექტში ჩართულია შემდეგი 10 ორგანიზაცია

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
2. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
3. აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
4. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
5. აჭარის განათლების სამინისტრო
6. აჭარის გზებისა და მელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი
7. აჭარის გარემოს დაცვის სამმართველო
8. აჭარის საარქივო სამსახური
9. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი
10. პრიორიტეტების დამდგენი კომისია

a. მთავარი გვერდის მოკლე აღწერა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთო პორტალი დაყოფილია ორ ძირითად ზონად, ძირითადი გვერდი და შიდა დამოუკიდებელი გვერდები თითოეული უწყებისთვის.

ძირითადი პირველი გვერდი წარმოადგენს შემაჯამებელ გვერდს თითოეული უწყებისთვის რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეს ვებ პორტალის გამოყენების შემთხვევაში ჩაიტვირთოს მთავარ გვერდზე, პირველივე გვერდზე მოიპოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია აჭარის მთავრობის, სამინისტროების და საქვეუწყებო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ და



იმავდროულად უფრო დეტალური ინფორმაციისთვის გადავიდეს კონკრეტული უწყების გვერდზე.

b. შიდა გვერდის მოკლე აღწერა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვებ პორტალის განვითარების პროექტში ჩართულ 10 ორგანიზაციას მთავარი/მირითადი გვერდთან ერთად გააჩნიათ ინდივიდუალური გვერდები რომელიც არის დასრულებული ფუნქციური ვებ გვერდები და თითოეულ ორგანიზაციას ექნება საშუალება ატვირთოს მისი უწყების შესაბამისი ინფორმაცია გვერდზე, გვერდის ადმინისტრირებას თითოეული უწყება ახდენს დამოუკიდებლად როგორც ამას აქამდე აკეთებდა საკუთარი არაცენტრალიზებული ვებ გვერდის მართვის დროს.

შიდა გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაციები,

1. ინფორმაცია სამინისტროს/საქვეუწყებო ორგანიზაციის შესახებ
2. საჯარო ინფორმაცია
3. სიახლეების განყოფილება
4. FAQ – ხშირად დასმული კითხვები
5. სტატისტიკური ინფორმაცია
6. მოგვეწერეთ ღილაკი
7. დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარი
8. დამატებითი ბმულები
9. გამოკითხვის მოდული
10. სოციალური ქსელების განყოფილება

დარჩენილი ინფორმაცია გვერდზე ეკუთვნის ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე თემატიკას



2

• ვებ პორტალის ინტერნეტ მისამართი

იმისათვის რომ მოქალაქემ ისარგებლოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი პორტალით აუცილებელია შევიდეს პორტალისთვის განკუთვნილ ვებ მისამართზე,

<http://www.adjara.gov.ge/>

ვებ გვერდზე შესვლა შესაძლებელია ნებისმიერი ვებ ბრაუზერის გამოყენებით რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და გავლილი აქვს ყველა განახლება,

1. Mozilla Firefox
2. Opera
3. Internet Explorer
4. Google Chrome
5. Safari



მნიშვნელოვანია რომ ვებ გვერდს გააჩნია Mobile ბრაუზერების მხარდაჭერაც, სრულად შესაძლებელია საიტის ნახვა Mobile მოწყობილობებიდანაც, თუმცა სპეციალური აპლიკაცია მობილური ვერსიისთვის ჯერ - ჯერობით შექმნილი არ არის.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

Good Governance in Georgia Program

ვებ გვერდი შემდეგ ნაირად გამოიყურება,

The screenshot shows the website's header with the USAID logo and navigation links in Georgian: მთავარი, სიახლეები, მთავრობა, აჭარის შესახებ, კანონები, საჯარო ინფორმაცია, and ENG. Below the header is a sidebar with various menu items like 'მთავრობის აპარატი', 'ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო', and 'საპროტექციო გზაობა და სამედიცინო სისტემების მართვის დეპარტამენტი'. The main content area features a search bar, social media icons, and a news article titled 'ბათუმში სს „საქართველოს რკინიგზის“ საბაჟო ტერმინალი გაიხსნა' (A new customs terminal opened in Batumi for the Georgian Railway).

მარცხენა პანელი - მოცემულია ჩამონათვალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამინისტროების და საქვეუწყებო ორგანიზაციების შიდა გვერდების, კალენდარი, მოქალაქის სახელმძღვანელო, გამოკითხვის მოდული, სიახლეების გამოწერა, რეგიონების ბმულები, ცენტრალური მთავრობის ბმულები, სოციალური ქსელები.

პორტალის ზედა პანელი - მოცემული მნიშვნელოვანი ინფორმაცია აჭარის მთავრობის შესახებ, სიახლეები, კანონები, აჭარის შესახებ, საჯარო ინფორმაციის შესახებ და ინგლისური გვერდი.

პორტალის მარჯვენა მხარე - ძიება, მოგვწერეთ, ხშირად დასმული კითხვები, პრესცენტრი, საჯარო ინფორმაცია

პორტალის შუა ნაწილი - ცვალებადი სლაიდერი სიახლეების შესახებ, ფიქსირებული სიახლეები

პორტალის ქვემო ნაწილი - ბმულები უწყებების შესახებ



3 • როგორ მივწეროთ წერილი კონკრეტულ უწყებას

იმისათვის რომ მივწეროთ წერილი მთავარი გვერდის მენიუდან კონკრეტულ უწყებას უნდა გავიაროთ შემდეგი ნაბიჯები,

ვაწვებით მთავარი გვერდის მარჯვენა მხარეს მოთავსებულ ღილაკს „მოგვწერეთ“, ღილაკზე დაწკაპუნების შემდეგ გამოდის ფანჯარა,



მოგვწერეთ


წერილი თავმჯდომარეს

სახელი გვარი პირადი ნომერი

ელ-ფოსტა საცნოვრებელი ადგილი

გაგზავნა

გამოსულ ფანჯარაში უნდა ავირჩიოთ ვის ვწერთ წერილს, ვაწვებით ჩამოსაშლელ მენიუს ფანჯრის მარჯვენა მხარეს და ვირჩევთ ადრესატს, როგორც ეს ქვემოთ მოცემული ფანჯარაზეა მოცემული



ადრესატის არჩევის შემდეგ, ვაგსებთ ინფორმაციას სახელი გვარი, პირადი ნომერი, ელ ფოსტა, საცხოვრებელი ადგილი, შემდეგ უნდა შევიყვანოთ გასმოული სიმბოლოები და ვაწვებით გაგზავნას. შესაძლებელია დასკანერებული წერილის ატვირთვაც.



აღსანიშნავია რომ წერილი იგზავნება ადრესატთან ელექტრონულ ფოსტაზე, ამჟამად სისტემა არ არის მიზმული ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის საკანცელარიო სისტემასთან რომელიც წერილს ავტომატურად დაარეგისტრირებს ბაზაში.

ამ ეტაპზე წერილის გაგზავნა არ ჩაითვლება ოფიციალურ დოკუმენტად. სამომავლოდ სისტემა მიზმული იქნება ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის საკანცელარიო ნაწილთან და წერილს ექნება იურიდიული ძალა. შესაბამისად გაგზავნის შემდეგ მოქალაქე მიიღებს წერილის გაგზავნის შესახებ დასტურს, გაგზავნის თარიღს და სავარაუდო პასუხის თარიღს.

ამავე გვერდიდა მოქალაქე შეძლებს გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ზუსტად იგივე ნაბიჯების გავლით რაც ზემოთ არის აღწერილი.



4 • ხშირად დასმული კითხვების ველი

ვებ პორტალის მარჯვენა მენიუში მოცემულია გვერდი სადაც მოქალაქეს საშუალება ექნება მოიძიოს ინფორმაცია ხშირად დასმული კითხვების შესახებ, FAQ.


ლილაკი მოცემულია მოგვწერეთ ლილაკის გვერდით,

			
მომხმარებელი	FAQ	პრესმეცენტრი	საპარტო ინფორმაცია

FAQ -ს ლილაკზე დაწკაპუნების შემდეგ გამოდის ფანჯარა,

შეგიძლიათ თქვენს კითხვებზე პასუხი? დასვით თქვენი კითხვა

ელ-ფოსტა



Type the text

Privacy & Terms

გაგზავნა

როგორც სურათზე ჩანს უნდა შეიყვანოთ თქვენი ელ-ფოსტა, დაწეროთ კითხვა და შეიყვანოთ მოეცემული რიცხვები გრაფაში რათა გააგზავნოთ წერილი. რიცხვების შეყვანის შემდეგ დააჭირეთ ლლაკს გაგზავნა.

წერილი გაიგზავნება გვერდის ადმინისტრატორთან და გარკვეული ანალიზის შემდეგ თუ ხშირად დასმულ კითხვებში შეიძლება მოხვდეს გამოქვეყნდება გვერდზე.



5 • როგორ მოვიპოვოთ საჯარო ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი პორტალის მთავარ გვერდზე გამოტანილია საჯარო ინფორმაცია რომელიც ეხება თითოეული უწყების საჯარო ინფორმაციას. პორტალის მთავარ გვერდზე გამოტანილია საჯარო ინფორმაციის ორი ღილაკი, რომელიც შინაარსობრივად ერთი და იგივეა თუმცა დანიშნულება სხვადასხვა. პორტალის ზედა პანელზე მოცემული საჯარო ინფორმაციის აზრი ის არის რომ როდესაც მოქალაქე სხვადასხვა გვერდზე გადავა მარტივად შეძლებს მთავარი გვერდის საჯარო ინფორმაციაზე დაბრუნებას და ნავიგაციას რადგან პორტალის ზედა პანელი ფიქსირებულია და მიჰყვება პორტალის შიდა გვერდებს.

საჯარო ინფორმაციის ღილაკი რომელიც მოცემული პორტალის მარჯვენა მხარეს ასახავს იგივე ინფორმაციას რაც ზედა პანელზეა მოთავსებული თუმცა ამ ღილაკის პოვნა და ინფორმაციის მოძიება უფრო თვალსაჩინოა,



საჯარო ინფორმაციის ღილაკზე დაწკაპუნების შემდეგ გამოდის შემდეგი ფანჯარა,

საბარო ინფორმაცია
უწყების დასახელება
მთავრობის აპარატი
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ტურიზმის დეპარტამენტი
საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი
გარემოს დაცვის სამმართველო
მთავრობის საქვეყნებო დანესებულება საარქივო სამმართველო
პრიორიტეტების კომისია



როგორც სურათიდან ჩანს მოცემული სია თითოეული უწყების შესახებ, მათი დასახელების მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ ავირჩევთ ერთერთს ჩამოთვლილთაგან პორტალზე გამოვა იმ კონკრეტული უწყების საჯარო ინფორმაცია, რომელიც სტრუქტურირებულია კანონმდებლობის მიხედვით და ასახავს ყველა საჭირო ინფორმაციას უწყების შესახებ.

საპარო ინფორმაცია

1. ზოგადი ინფორმაცია სამსახურის შესახებ

ინფორმაციის დასახელება	
1	სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა
2	სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები
3	სამსახურის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში
4	სამსახურის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები
5	სამსახურის ხელმძღვანელისა და შოადგილების შესახებ ინფორმაცია
6	საკონტაქტო ინფორმაცია

როგორც სურათიდან ჩანს ჩამონათვალიდან ერთ-ერთის არჩევით გადავდივართ ახალ გვერდზე საიდანაც შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის ჩამოტვირთვა,

საპარო ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები

სამინისტრო არის ერთმმართველობის პრინციპზე დაფუძნებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება და შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.

სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში საქართველოს ერთიანი სამთავრობო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს თავის სისტემაში შემავალი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

განთავსების თარიღი	ფაილის დასახელება	ფაილის ბმული
1 27 თებერვალი, 2014	ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	



6 • საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია „პრეცენტრი“ ღილაკის ქვეშ,

მომხმარებელი	FAQ	პრესცენტრი	საბარო ინფორმაცია

ღილაკზე დაწკაპუნების შემდეგ გამოდის თითოეული უწყების დასახელება სადაც დამატებით მოცემულია ცხრილი და დასახელების გასწვრივ ველში შეგიძლიათ მოიპოვოთ დამატებითი ინფორმაცია,

1. საკონტაქტო ინფორმაცია
2. აკრედიტაცია
3. საჭირო რესურსები
4. ვიდეო მასალა

აღსანიშნავია ის რომ საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია რეკებით უწყების მარტივად მისაგნებად.

პრესცენტრი				
უწყების დასახელება	საკონტაქტო ინფორმაცია	ვიდეო მასალა		
მთავრობის აპარატი				
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო				
ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო				
სოფლის მეურნეობის სამინისტრო				
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო				
ტურიზმის დეპარტამენტი				
საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი				
გარემოს დაცვის სამმართველო				



7 • როგორ გამოვიწეროთ სიახლე

იმისათვის რომ გამოვიწეროთ სიახლე ერთიანი პორტალის მთავარ გვერდის მარცხენა სვეტში უნდა მოვძებნოთ ბლოკი სახელწოდებით სიახლეების გამოწერა,

როგორც სურათზეა მოცემული უნდა შევიყვანოთ ჩვენი ელ-ფოსტა რომლის შეყვანის შემდეგ ყველა სიახლეს ავტომატურად მივიღებთ ელექტრონულ ფოსტაზე.

მეილის შეყვანის შემდეგ გამოდის შეტყობინება,

რაც ნიშნავს იმას რომ სიახლეების გამოწერა წარმატებით დასრულდა.

ვებ პორტალს გააჩნია ძიება და გაფართოებული ძიება, ძიების გამოყენებით შეძლებთ კონკრეტული სიტყვის მიხედვით იპოვოთ ინფორმაცია ხოლო გაფართოებული ძიებით კონკრეტულ უწყებაში შეძლებთ ინფორმაციის გაფილტრვას,




8 • სიახლეების ველი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალის მთავარ გვერდზე მოცემულია სიახლეების საერთო ნაკრები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, იმისათვის რომ მოქალაქემ მარტივად ერთ გვერდზე იხილოს ყველა ის სიახლე რაც აჭარის მთავრობის სამინისტროებში თუ საქვეუწყებო ორგანიზაციებში ხდება.

სიახლეებს გვერდი შემდეგნაირად გამოიყურება,


სიახლეები

ბათუმში სს „საქართველოს რკინიგზის“ საბაჟო ტერმინალი გაიხსნა
თარიღი 24 იანვარი, 2014 ძირითადი პორტალი




დღეს ბათუმში „საქართველოს რკინიგზის“ საბაჟო ტერმინალი გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი კოკა გუნცაძე, საქართველოს და აჭარის მთავრობის და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები. ღონისძიებას ასევე დაესწრნენ ყაზახი, რუმინელი, ამერბაიჯანელი და თურქი სტუმრები.
სრულად...

ქობულეთში ახალი ავტოსადგური გაიხსნა
თარიღი 24 იანვარი, 2014 ძირითადი პორტალი




დღეს ქობულეთის მუნიციპალიტეტში აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაურ ფუტყარაძემ და ქობულეთის გამგებელმა გია რომანაძემ ქობულეთის ახალი ავტოსადგური გახსნეს. ავტოსადგური განთავსებულია 1541 კვ მეტრზე და მოიცავს ორ სართულიან შენობას (561 მ) და ავტოპარკინგს. იგი 40 ავტობუსს ერთდროულად მოემსახურება.
სრულად...

აჭარაში სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება იწყება
თარიღი 24 იანვარი, 2014 ძირითადი პორტალი



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო „მცირემშენიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტს“ იწყებს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე და სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფუტყარაძე ბათუმს მემორთებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ფერმერებს შეხვდებიან და პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციას გააცნობენ. ბათუმს მემორთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები „მცირემშენიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით“ დახმარებას 12000-მდე ფერმერი მიიღებს.
სრულად...

ასევე გვერდზე მოცემულია სლაიდერი სადაც სპეცილური ეფექტის გამოყენებით სიახლეები იცვლება და გადადის გვერდიდან გვერდზე. ე.წ სიახლეების სლაიდერი



ქობულეთში საუკუნოვანი სკოლის სრულყოფილად რეაბილიტირებული #1 სკოლის შენ

აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ, განათლებისა და კულტურის მინისტრმა გიორგი თავაშიაშვილმა და მთავრობის სხვა წევრებმა ქობულეთში N1 საჯარო...
○○○○●



9

• როგორ მივიღო მონაწილეობა გამოკითხვაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიან პორტალს გააჩნია გამოკითხვის მოდული რომელიც დაეხმარება მთავრობის წარმომადგენლებს აწარმოონ გამოკითხვა კონკრეტულ საკითხზე. იმისათვის რომ მოქალაქემ მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვაში აუცილებელია მონიშნოს მისთვის სასურველი პასუხი და დააჭიროს ღილაკს „ხმის მიცემა“. გამოკითხვის მოდული მდებარეობს პორტალის მარცხენა სვეტში, სიხალეების გამოწერის ბლოკის შემდგომ.

მომხრთ ახალი დიზაინი?

დიახ

არა

ხმის მიცემა

ხმის მიცემის შემდეგ პასუხები აისახება პორტალის საკონტროლო პანელში და საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრატორი შეძლებს მის გამოქვეყნებას.

ნებისმიერი დაფიქსირებული საკითხი ანონიმურია და სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება არ გულისხმობს თითოეული მომხმარებლის პასუხის გამოქვეყნებას, ინფორმაცია შეიძლება გამოქვეყნდეს ზოგად ჭრილში ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე.




10 • სოციალური ქსელები და ბმულები

ერთიან ვებ პორტალს გააჩნია სოციალური ქსელის ბმულები, ამ ეტაპზე გვერდზე მოცემულია მხოლოდ Facebook- ის და Youtube ის ლინკები, სამომავლოდ შესაძლებელია სხვადასხვა სოციალური ქსელების გვერდის ჩამატება, მოქალაქე შეძლებს ვებ პორტალის მთავარი გვერდიდან გადავიდეს თითოეული უწყების Facebook ან Youtube გვერდზე და იხილოს ინფორმაცია.

დამატებით მოქალაქე შეძლებს სიახლეებზე გააკეთოს კომენტარი ან გააზიაროს ის, თითოეული კომენტარი გამოჩნდება Facebook ის გვერდზე და არა ვებ პორტალზე.

სოციალური ქსელის ლინკები მოცემულია ერთიანი პორტალის მარცხენა სვეტის ბოლო ბლოკში,



სოციალური ქსელების ზედა ორ ბლოკზე მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მუნიციპალიტეტების და საქართველოს ცენტრალური მთავრობის სასარგებლო ბმულები

- რეგიონები**
- ბათუმის მერია
 - ქობულეთის მუნიციპალიტეტი
 - ხალვაჩაურის მუნიციპალიტეტი
 - ხულოს მუნიციპალიტეტი
 - შუახევის მუნიციპალიტეტი
 - ქაღის მუნიციპალიტეტი

- ბმულები**
- საქართველოს პრეზიდენტი
 - საქართველოს მთავრობა
 - საქართველოს პარლამენტი
 - აჭარის ავტ. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
 - იუსტიციის სახლი



11

- როგორ მოვიძიო ინფორმაცია კონკრეტული უწყების შესახებ უფრო დეტალურად

იმ შემთხვევაში თუ მოქალაქეს სურვილი აქვს რომ გარდა მთავარ გვერდზე განთავსებული ინფორმაციისა უფრო დეტალურად იხილოს რომელიმე კონკრეტული უწყების გვერდი მას საშუალება აქვს შევიდეს კონკრეტული უწყების გვერდზე და დეტალურად გაეცნოს მას.

როგორც მთავარი გვერდის მარცხენა სვეტის დასაწყისშივე ჩანს მოცემულია ლინკები თითოეული უწყების სახელწოდებით,

მთავრობის აპარატი
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
განმრთალების და სოციალური დაცვის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ტურიზმის დეპარტამენტი
საავტომობილო გზებისა და სამალიტრაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი
გარემოს დაცვის სამმართველო
მთავრობის საქვეუწყებო დანახაბულება საარქივო სამმართველო
<u>პრიორიტეტების კომისია</u>

როგორც სურათზე ჩანს მოცემულია 10 უწყების ჩამონათვალი ლინკების სახით, ლინკებზე დაწკაპუნების შემთხვევაში აღმოჩნდებით კონკრეტული უწყების შიდა გვერდზე და მოქალაქე შეძლებს დეტალურად გაეცნოს კონკრეტული უწყების შესახებ ინფორმაციას.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

Good Governance in Georgia Program

მაგალითისათვის განვიხილოთ მთავრობის აპარატი, მთავრობის აპარატის გვერდზე დაჭერით შევდივართ მის გვერდზე,

The screenshot shows the official website of the Government of Georgia. At the top, there is a header with the coat of arms and the text "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი". Below this is a navigation menu with items like "მთავარი", "სიახლეები", "მთავრობა", etc. The main content area features several news articles with images and titles. On the right side, there is a search bar, a calendar for March 2014, and contact information including a phone number "+995 (422) 27-00-19".

როგორც მთავარ გვერდს მთავრობის აპარატის შიდა გვერდსაც გააჩნია მენიუების პანელი, სიახლეების სლაიდერი, სიახლეები, მიება, კალენდარი, ცხელი ხაზის ბლოკი და სოციალური ქსელების ბლოკი. განსხვავებით მთავარი გვერდისა გვერდზე ასახულია მხოლოდ მთავრობის აპარატის შესახებ მოცემული ინფორმაცია რომელსაც მოქალაქე შეძლებს დეტალურად გაეცნოს.

გვერდზე დამატებით ფუნქციონირებს;

1. მთავრობის აპარატის საჯარო ინფორმაციის გვერდი
2. პრესცენტრი - საკონტაქტო ინფორმაცია, საჭირო რესურსები, აკრედიტაცია
3. FAQ - ხშირად დასმული კითხვების გვერდი
4. მოგწერეთ - ველი რომლის საშუალებითაც მოქალაქე შეძლებს გაუგზავნოს წერილი მთავრობის აპარატს.



12 • გვერდის ქვედა მენიუზე განლაგებულია სასარგებლო ბმულები

მთავარი გვერდის ქვედა პანელში განთავსებულია ბმულები შიდა გვერდების ლინკებით რათა მოქალაქემ მარტივად შეძლოს ნავიგაცია და უკან დაბრუნება როდესაც შიდა გვერდზე იმყოფება,

მაგ.

ინვესტიციები	ფორმები	საწახარბი	გართობა
<ul style="list-style-type: none"> ■ ატმოსფერული ხარისხის მართვა ■ ინვესტიციები საერთაშორისო პოლიტიკაში ■ სპეციალური საერთაშორისო კავშირები ■ საერთაშორისო კომუნიკაცია ■ ხელშეწყობის მართვაში ინვესტიციები 	<ul style="list-style-type: none"> ■ ატმოსფერული ხარისხის მართვა ■ ტრადიციული ხარისხის მართვა ■ მონეტარული ფორმები ■ ფორმების განვითარება რეგიონში 	<ul style="list-style-type: none"> ■ საწახარბი რეგიონში ■ ატმოსფერული ხარისხის მართვა ■ კულტურული მემკვიდრეობა ■ ტრადიციული ხარისხის მართვა 	<ul style="list-style-type: none"> ■ ტრადიციული ხარისხის მართვა ■ ატმოსფერული ხარისხის მართვა ■ მონეტარული ფორმები ■ ატმოსფერული ხარისხის მართვა